სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030664820986920

06 / თებერვალი / 2020 წ. **თბილისი #06-22/ო**

„დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტით განსაზღვრული მომსახურებების მიმწოდებლად რეგისტრაციის ფორმის, მისი შევსების ინსტრუქციის და საანგარიშგებო ფორმების და მათი შევსების წესის დამტკიცების შესახებ

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილებით დამტკიცებული „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილებით დამტკიცებული „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში მომსახურებების მიმწოდებლად რეგისტრაციის ფორმა, მისი შევსების ინსტრუქცია და საანგარიშგებო ფორმები და მათი შევსების წესი თანდართული დანართი #1; #2; #3; #4-ის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.
3.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს ალექსანდრე ტურძილაძეს.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე